თბილისის “დინამოს” დამარცხება

2 ივნისს მოსკოვში “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ცდკა”–ს და თბილისის “დინამოს” გუნდები.

“ცდკა”–ს გუნდში არ თამაშობდნენ ცნობილი ფეხბურთელები ფედოტოვი და ბობროვი, თბილისის გუნდი კი თავისი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდა, მაგრამ ამ დღეს თბილისელი ფეხბურთელები, განსაკუთრებით თავდამსხმელები ძლიერ სუსტად თამაშობდნენ.

პირველი ტაიმის მე–12 წუთზე მოსკოველებმა გაიტანეს პირველი ბურთი. მეორე ტაიმის მეორე წუთზე მათვე გაიტანეს მეორე ბურთი. ამ ანგარიშით 2:0 დამთავრდა ეს მატჩი. ამჟამად გათამაშების ლიდერია “ცდკა”, რომელსაც 8 თამაშიდან აქვს 15 ქულა. თბილისელები მათ ჩამორჩებიან ერთი ქულით.

4 ივნისი, 1946 წ.